ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2580628

ნომერი: AR1401021

თარიღი : 28.04.2016

გაცემის თარიღი : 10.05.2016

გაცნობის თარიღი : 10.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ , რადიო სადგურის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 001/133) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- ფანჩატური
  ახალი მშენებლობა
- 25 კუბ.მ-მდე მოცულობის და 2.2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე აუზი, ღია საცურაო აუზი, ჭა და წყარო
  ახალი მშენებლობა
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

მიწის ნაკვეთზე I კლასის სამუშაოების (დაცვის ჯიხურის, ფანჩატურის, შლაგბაუმის, დეკორატიული აუზის განთავსებისა და გამწვანების მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, რადიო სადგურის მიმდებარედ, (ნაკვეთი #001/133) შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე I კლასის სამუშაოების (დაცვის ჯიხურის, ფანჩატურის, შლაგბაუმის, დეკორატიული აუზის განთავსებისა და გამწვანების მოწყობის) განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.19.25.001.133, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015572657 08/10/2015 წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი, მინდობილობა, გენ–გეგმა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – სამგორი, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, რადიო სადგურის მიმდებარედ, (ნაკვეთი #001/133) შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე I კლასის სამუშაოების (დაცვის ჯიხურის, ფანჩატურის, შლაგბაუმის, დეკორატიული აუზის განთავსებისა და გამწვანების მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობას. გარდა ამისა გაითვალისწინეთ:

– საპროექტო სამუშოები განხორციელდეს N 01.19.25.001.133 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.